

# შინაჲრი საქმეეზი.

№ 10.

✦ ყოველ-კვირული გაზეთი ✦

ფასი ერთი შაური

წლიური ფასი 4 მან.

წელიწადი მეხუთე.

## კვირა, 18 მარტი 1912 წელი

ქვეყნ-კვირული გაზეთი

### „შინაჲრი საქმეეზი“

საზეგუბო № 17). და თბილისში კომპლემენტოვან სომხსან პასაჲში, სიმონანტის შუის მღაჲხიაში. გამოვე ყოველ თვეში ოთხი ნომერი.

#### გაზეთის ფასი:

წლიური ფასი:	4	ნახ. წლი:	2	სამა თვით:	1	ერთი თვით:	2
მანეთი.		მანეთი.		მანეთი.		აბანი.	

#### ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შაური.

ფულის შემოტანა წლიურ ხელის მოწვევითაჲს შეიძლება ასე განაწილდეს: თვიდან 2 მ. და 1 იენის 2 მ. განკარგულებას ფასი წინა გვერდზე პეტრით სტროჲონი ორი შუერი, უკანასკნელზე 7 კ.

ადრესი: ქუთაისი: „შინაჲრი საქმეეზის“ რედაქცია.

**შინაარსი:** 1) ყოველდღისამღვდლოლოგიონის მოგზაურობა სამეგრელოს ეკლესიების დასათვალისწინებლად; 2) გომართელი და ასტრონომია—სეფეველელისა; 3) მატერიალიზმი; 4) ჯვარს აცვეს ნაზარეველი—რ. საჯავახელისა; 5) საეკლესიო კრების შესახებ მოძრაობა—ღ. კ. ა—ძე-სი; 6) „700 წლის ქალი“—მლ. სევ. კეკელიძისა; 7) გიგლა უზიარებლად გადაიკვლა—დათიკო ლოდობერიძისა; 8) კიდევ ერთა რამ ჩვენი სამღვდლოელების ცხოვრებიდან—ხოტეველისა; 9) რას გვეწერენ? სოფ. დედალაური—როსტო პაპავასი; 10) მოგონება—გულნატკენისა; 11) ნუ თუ მართალია?—გენადი ჭუმბურიძისა.

ბელაგია ილექსის ასული ჯაფარიძისა, მეგდან მიხეილის ასული წერეთლისა, მატრონა მიხეილის ასული არეშიძისა, დარია მიხეილის ასული ჯაფარიძისა, მლ. ვიქტორ და ტრიფონ მიხეილის ძენი ჯაფარიძეები; აღეშანდრე დიანოსისძე წერეთელი დავლადიმერ საჩინოსძე არეშიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ცოტახნის ავთიმუოფობის შემდეგს. ბრყითში გარდაიცვალა ძვირფასი და საყვარელი ქმარი პირეელისა, მამა მუორეთა ლ. სიმამრი მესამეთა **ლეველი მიხეილ ასლანისძე ჯაფარიძე** გამოსვენება და დაკრძალვა სოფ. აბასთან, 20 მარტს, სოფლის ეკლესიაში. პანაშვილები ყოველ დღე.



ყოველადსამღვდელო ეკლესიის მიუხედავად საძველესი ეკლესიების დასათვალიერებლად.\*)

წმ. მარინეს ეკლესიამ გადავდით ლეგონის ანუ გოგინაების ეკლესიაში. ეკლესია ქვისაა, ახალია და მშენებრათა მოწყობილი. დიდი ღვაწლი და შემწეობა მიუძღვით ბ. ბეჟუ და სტეფანე გოგინაებს, რომლებსაც დიდი მადლობა უბრძანა მათმა მეუღეებამ.

ამ საბლადოჩინოში დარჩა დასათვალიერებელი კიდევ ოთხი ეკლესია: უშაფათისა, ეკიმიანერისა და ეკისა. პირველი მათგანი ხისაა და შესაფერისათაა მოწყობილი. ყოველდღე სამღვდელომ დამოძღვრა მთელი მრევლი და მადლობა გამოუცხადა ეკლესიაზე ზრუნვისთვის

ს. უშაფათაში ეხლა აშენებენ ქვის ეკლესიას, მღვდელთ-მთავარმა მშენებრათ აუხსნა შეკრებილ მრევლს მნიშვნელობა ეკლესიისა და მხურვალე დალოცვით მასწავლებლებს გაუორკვეცა დაწყებული საქმისადმი ხალისი.

ეკიმიანერის ქვის ეკლესია უხსოვარი დროიდან არის აშენებული. რა თქმა უნდა, ეს ეკლესია მონასტრული იქნებოდა, მაგრამ დღეს აღარაფერი ამჩნევია და ძალიან ღარიბი მართულობა აქვს. მნახველის ყურადღებას იზიდავს ძველებური გემოვნებით გამოჩუქურთმებული და დღესაც მშენებრად შენახული კარის-ბჭე, რომელიც მოვარებთ, სავანის ეკლესიის (შორაპნის მაზრაში), და ბაგრატის ტაძრის (ქ. ქუთაისში), კარის ბჭეებს.

იმანიერიდამ კარგა მოშორებით მაღალ მთის წვერზე თეთრად მოსჩანდა ციხის მინაგვარი შენობა. ეს იყო ეკის ეკლესია. ეკი მებრუნულად მიდგომს, აღმართს ნიშნავს და ეკლესიას დარქმევია ეს სახელი თავის მდებარეობის გამო. ეტყობა ძველად ეკის ეკლესიის მრევლს ეკლესიის მახლობლად უცხოვრია, მაგრამ ესღია ვაკეში ჩამოსახლებულან და შეიდი-

რვა ვერსის მანძილით მოშორებიან თავიანთ სამლოცველოს.

გარდა ეკლესიის გალავნისა, სხვა სასაფლაო არა აქვთ, და შეიდი-რვა ვერსის მანძილიდან მიცვალეზულის აქ მოსვენებით კი, დიდ გაქირვებას განიცდიან, განსაკუთრებით ზამთარში და ავდრის დროს.

თითონ ეკლესია ქვისაა, შიგნით აქა-იქ მხატვრობა კიდევ მოსჩანს, გუმბათი არა აქვს და არც დიდი ზომისაა.

კარგად შენახულა ეკლესიის გარეშემოცხე, ამ ციხიდან რამდენიმე ვერსის მანძილზე მიდის ძველი კედლის ნანგრევი. ციხეში თიხის მიღებით დაბლიდან ამოყვანილი ყოფილა წმინდა წყარო.

გალავანში გღია ერთი უშველვებელი ზომის ღუზა, ვისგან და რა გარემოების გამოა მოტანრი, არავინ იცის.

მრევლმა უკმაყოფილება გააცხადა ადგილობრივ მღვდლებზე, ერთმანეთში ჩხუბობენ, ეკლესიაში შფოთს ახდენენ და სრულებით არ დაეძებენ თავიანთი მოვალეობის პირნათლად შესრულებასაო. ყოველდღესამღვდელომ უკვე შესაფერი ზომები მიიღო ხსენებული მღვდლების გასასწორებლად.

უკვე შემოგვალამდა; ოთხი ვერსი დაკიდებულ თავდაღმართში ებისკოპოსმა ფეხით ჩაიარა და რადგანაც ძველი სენაკის საბლადოჩინო ოღქი გათავდა, გზაში შეგვეკება მოდიდანახეს კეთილ-მოწესე დეკანოზი კოსტანტინე ბერიძე.

ს. ზანაში მიმავალნი მუსაიფში გართულები ზედ წავადექით გზაში გაჩერებულ ურემს, რომელშიაც კამბეჩები ებნენ და ზანტათ იკოხნებოდნენ; მეურმეს ისე ტკბილად ჩასძინებოდა ურემში, რომ ჩვენი გავლისა არა შეუტყვიარა. აქ მომაგონდა ნეტარ ხსენებული ყოველდღესამღვდელოესი ალექსანდრე, რომელსაც ხშირად უყვარდა ხოლმე ქართველებზე ამის თქმა: „მამავ ვიყვარდა ურემი, დაწექ და დაიძინეო“ და თანაც „ოროველ-ოროველს“ დამღერდა.

ზანა მშენებრი სიფელია მდებარეობითაც

\* იხ. „ზინ. საქ.“ № 4.



და პაერითაც. ეს სოფელი რეზიდენციაა ოლქის ბლალაჩინისა. არსებული ეკლესია ორშტატიანია. იგი ხისაა, აშენებულია ეხლანდელი მღვდლების დროს. აკლია სრულებით ხატები და სხვა სამკაულები. ყველაფერი ამტკიცებს, რომ მრევლი ერთობ გულგრილად ეკიდება ეკლესიას, თორემ ამოდენა ხალხს, და ისიც, სხვებთან შედარებით, შეძლებულს, სწორეთ სათაქილოთ დაურჩებოდათ ასეთი გაცივებული, გაფცქენილი და მოუწყობელი ეკლესია. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ მრევლის შემავალს შეადგენენ ისეთი გამოჩენილი გვარის შვილები, როგორც არიან თავ. აფაქიძეები.

№.

ბ. გომართელი და ასტრონომია.

ბ. გომართელს სწორეთ წმინდა წყლის ენციკლოპედიატად მოაქვს თავი. იგი მეცნიერების არც ერთ დარგს არ ერიდება, ყველაფერი ხელმისაწვდომად მიუჩნევია და არ სტოვებს არც ერთ საკითხს, რომ არ შეეხოს, თავისებურად არ გააშუქოს და საკუთარი დასკვნა თანამედროვე მეცნიერების უკანასკნელ სიტყვად არ გამოაცხადოს. ექიმი ხელობით, ბ. გომართელი ერთსა და იმავე დროს კიდევ დრამატურგობს, კიდევ ლექტორობს, კიდევ პუბლიცისტობს, კიდევ კრიტიკოსობს, კიდევ ისტორიკოსობს, კიდევ მსაჯულობს, კიდევ ფილოსოფოსობს და სხ. და სხ.

შეიძლება ბ. გომართელის მოღვაწეობის რომელიმე მხარე საქებური და სახეიროც იყოს, შეიძლება მისი გონების ნამოქმედარში მართლა მეცნიერული რამეც ერიოს, მაგრამ ფილოსოფიურ-რელიგიურ კითხვებში რომ იგი უსუსური და მთლად უვცი ვინმეა, ეს დიდი ხანია მის მანაწერებში დააყენეს ყოველი ცილობის გარეშე. სხვათა შორის ასეთი უსუსურობა ძალზე გამოსჭევვის იმ წერილიდამაც, რომელიც ბ. გომართელს დაუსტამბავს საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადული“-ს ამ წლის მეორე წიგნში. აი რას მოუთხრობს ბ. გომართელი ჩვენ შეილებს ქვეყნიერების აღორძინების შესახებ მითომდა ასტრონომიის დასკვნათა ხელმძღვანელობით:

„როდესაც დედამიწა თხელადათ იქცა, მისი ცა მალე დაიფარა შავი ღრუბლებით, რადგანაც დედამიწა გახურებული იყო, დულდა და ორთქლი ბლომად ასდიოდა; ღრუბელი ხომ იგივე ორთქლია. ცაში ორთქლი ცივდებოდა, ისევ წყლად იქცეოდა და წვიმის სახით მოდიოდა უკან; აქ ისევ ორთქლად გადაიქცეოდა, ავიდოდა ცაში, შეგროვდებოდა და ისევ დაიწყებდა წვიმა.

მაშინ ღრუბლებით დაფარულ დედამიწას მზის სხივი არ სწვდებოდა აქ მუდამ წვიმა და ნიაღვარი იყო.

რომ ეს ქეშმარიტებაა და არა ოცნება, გვიმტკიცებს ცა. მზის ერთი ცთომილი, იუპიტერი, რომელიც ჩვენს ცაზე დიდ ვარსკვლავად მოსჩანს, თავისი უზარმაზარი ზომის გამო დღესაც თხელია და ნიადაგ ღრუბლებით ირის დაფარული, რის გამო მეცნიერებმა ტელესკოპით მისი ზედა პირი ვერ დაინახეს.

როდესაც დედამიწა საკმაოდ განელდა და დულილი შეჩერდა, ორთქლმა და ღრუბლებმა საკმაოდ იკლო, წყალმა იმატა, რადგანაც ის სულ ორთქლად აღარ მიდიოდა, და მთელი დედამიწა წყლით დაიფარა.

მრავალ ასი ათას წელთა განმავლობაში წყლიდან თავი ამოჰყო აქა-იქ პატარა-პატარა კუნძულებმა; მათმა რიცხვმა იმატა, კუნძულები შეერთდნენ, გაიზარდნენ და ბოლოს აღორძინდა აქა-იქ ხმელეთი. დღესაც კი ჩნდება ზღვაში პატარა კუნძულები.

კუნძულებზე გაჩნდნენ პატარა არსებანი, გამრავლდნენ, განვითარდნენ, სახე იცვალეს და მრავალ მილიონ წლის განმავლობაში ამ პატარა ქმნილებათაგან აღორძინდნენ სხვა და სხვა მცენარენი და ცხოველები: ფრინველები, მხეცები, ნადირნი, თევზები, ქვემძრომნი, ადამიანნი და სხვა“.....

მოყვანილ ამონაწერში განსაკუთრებით საყურადღებოა ხაზგასმული ალავები. აქ რამდენი წინადადებაა, იმდენი შოცდომა და სიცრუეა, იმდენი სიყალბე და სიმრუდეა. ალებულ წერილს რომ დაუჯეროთ, ქვეყნიერება გაჩნდა და აღორძინდა თავის თავად, დამოუკიდებლად



რაიმე გონიერი პირველ მიზეზისაგან, თავისთავად და უგარეშო მიზეზით ანთო ქვეყანაზე ცხოვრება, სიცოცხლე; გამოდის, რომ **შემოქმედი, ღმერთი** სულ ტყული და მოქორილი რამ ყოფილა.

მაგრამ ბ. გომართელმა თავისი ყელ გამოსაქრელი დანა თითონვე ამოაჩინა. მეცნიერების მრავალ შტოთაგან სწორეთ ასტრონომიას რომ ყველაზე მომეტებული ამტყუნებს და აცრუნებს მას. „ზოგიერთა მწერლები ქვეყნიერობაზე სიცოცხლის გაჩენის ასახსნელათ სოფლის მკითხავებივით (მარჩიელებივით) უცნაურ ზღაპრებს სთხზავენ და ასეთ ზღაპრებს ასაღებენ მეცნიერებად. ამ მხრივ სამაგალითოა თავისი თავაწყვეტილი ჰირვეულობით ჰეკელი“ო, — მოგვეთხრობს თანამედროვე გამოჩენილი ასტრონომი კრომმელინი. აი ეს ჰეკელია გომართელის სულის ჩამდგმელი, გომართელის გონების მზე, გომართელის სათაყვანო კერა. რაც კი რამ დაუწერია გომართელს ღმერთზე, სულზე, სარწმუნოებაზე, ქვეყნის გაჩენაზე და სხ. სულ ჰეკელის აზრების, ან როგორც კრომმელინი ამბობს, უცნაური ზღაპრების გამოვრებაა თვალდახუჭულად და მონურად. სულ ტყულიად და უსაბუთოდ ებღაუჭება ბ. გომართელი ასტრონომიას ასტრონომია არსებითად წინააღმდეგია გომართელის ნასესხები სოფელმხედველობისა.

გვერდი აუქციოთ კებლერს, ფარადს, ვატსონს, გერშელს, ფლამარიონს, ამ ასტრონომიის სვეტებს, რომლებიც ყველა თავიანთ ნაწერებში ქვეყნიერობას აღიარებენ ყოველად შემძლე პირადი ღვთის ქმნილებად, ავიღოთ სულ ახალი დროის ასტრონომები: დავით ჯილი, ედმუნდ ჰიტტვერი, ვალტერ მაუნდერი, ჯონ ედლარდ პორი, საუნდერი, სიმონ ნიუკომბი და სხვები. რომელია ამათში, რომ ხმელეთი, მცენარეები, ცხოველები, კაცი, მთელი მსოფლიო მისი საფესებით, ღვთის ქმნილებად არ მიაჩნდეს?

ვალტერ მაუნდერმა საჯარო სიტყვა წარმოასთქვა ბრწყინვალე მეცნიერთა წინაშე თემაზე „ბიბლიის ასტრონომია“. „მეცნიერების

დიდებაო, — ბძანებს მაუნდერი ამ სიტყვაში, — მის წინსვლაშია, რაიცა მდგომარეობს იმაში, რომ იგი (მეცნიერება) იცვლება, ყოველთვის ახლდება და ნიადაგ ხელ ახალ შეფასება-გადახედვას თხოულობს. მეცნიერებას საქმე აქვს დროებითი ხასიათის ფაქტებთან, რელიგიას კი სამარადისო ქეშმარიტებასთან; მეცნიერების ობიექტი ცვალებადი საგნები და თვით ცვალებადობის პროცესებია, ამიტომ თვით მეცნიერებაც მხოლოდ კაცის ცვალებადი აზრია ამ საგნებზე და პროცესებზე. რელიგიას კი, პირიქით, საგნად აქვს აღებული სამარადისო, რომელიც გასაგებია ყველასათვის გამოუკლებლად ღარიბებისა, უვიცებისა და მკორე წლოვანებისა. ურმისთვინაც, როგორც ბრძინისთვის, ცხადია პირველი მცნება სარწმუნოებისა: „მრწამს ღმერთი მამა, შემოქმედი ჩემი და ქვეყნისა“. ამ სიტყვებით გამოთქმული ქეშმარიტება, ან დაბადების (ბიბლიის) პირველ სტრიქონში აღნიშნული „ღისაბამად ქმნა ღმერთმა ცა და ქვეყანა“, საფუძველია როგორც მეცნიერებისა, ისე რელიგიისა“... „პირადად მე მწამსო, ამბობს სხვაგან ხსენებული მეცნიერი, საქრისტიანო ეკლესიის სამი დიდი სიმეოლო სარწმუნოებისა: ეგრედ ცნობილი მოციქულთა, ნიკეის კრებისა და ათანასე დიდისაო“. ნაჩვენები ძველების კოსმოგონია ყველამ ვიცით.

„რაც უფრო განათლებულია ადამიანი, მით უფრო ცხოველად გრძობს, რომ რაც მის გონებას სძენს ჯეროვან განწყობილებას და რაც მას აწვდის სათანადო წარმოდგენას კაცსა და ქმნილებათა შესახებ, მეტად ძვირფასია, ვიდრე ის, რითაც გვასაჩუქრებს მატერიალური კეთილმდგომარეობა“, მოგვეთხრობს ამერიკელ ასტრონომთაგან უდიდესი სიმონ ნიუკომბი. „ამიტომო, განაგრძობს იგი, მე ვფიქრობ, ქვეყნიერობა უმაღლეს ხარისხამდე დაეაღებულა ასტრონომიისაგან, რადგანაც მან აგვიხილა თვალი რა ზომამდე დიდი ყოფილა ღვთის ქმნილება და რა პატარა ნაწილაკს შეადგენს შემოქმედის საქმეთა შორის დედამიწა, რომელზედაც ჩვენა ცხოვრობთ“....



„ოქროსა და ვერცხლზე უძვირფასესია შეგნება, რომ ქვეყნიერება აღმატება ჩვენს წარმოგენას მის შესახებ, რადგანაც ამის გამო ჩვენი შეხედულობა ქვეყნის შემოქმედზე სათანადოდ ფართოვდება“.

ჯონ ელლარ ჰორი მსჯელობს: „ჩემი შეხედულობით არავითარი მტრული განწყობილობა ან წინააღმდეგობა არ არსებობს ნამდვილ მეცნიერულ ფაქტებთან და ქრისტიანობის ძირითად დებულებათა შორის. მე მწამს, რომ, როგორც რელიგია ისე მეცნიერობის კანონები გამომდინარეობენ ერთისა და იგივე ყოველად შემძლე შემოქმედისაგან, რომლის მეოხებითაც ვცოცხლობთ, ვმოძრაობთ და ვარსებობთ“.

ერთი სიტყვით, ყველა ცნობილი ასტრონომების შეხედულობით ქვეყნიერობის გაჩენისა და აღორძინების პირველ-მიზეზი არის ყოველად შემძლე, ცხოველი და პირადოვანი ღმერთი. რამდენიც უნდა ეცადოს, ამის საწინააღმდეგოს ვერაფერს ვერ ამოაჩენს ბ. გომართელი ასტრონომიაში. მაგრამ განა მეცნიერების ყველა დარგების საუკეთესო, თვალსაჩინო და ავტორიტეტად მიჩნეული წარმომადგენლები კი ამასავე არ აღიარებენ? განა აღებულ საკითხში ასტრონომიას გვერდს არ უმშვენებს საერთოდ აღებული მეცნიერება? ასტრონომია ნაწილია მეცნიერებისა და თავისი ნაწილის ქეშმარიტება მთელ მეცნიერებასაც უცილობელ ქეშმარიტებად აქვს მიღებული. მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლებიც საერთოდ იმავე აზრს ადგანან ქვეყნის გაჩენისა და აღორძინების შესახებ, რომელიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, გაშეფებულია ასტრონომიაში.

ნათქვამის დასამტკიცებლად რომ მეცნიერების თხუზულებებიდან სათანადო ამონაწერები მოვიყვანოთ, მეტად შორს მოგვიხდება წასვლა და საგაზეთო წერილიც აღარ ჩაეტევა მისთვის განსაზღვრულ ჩარჩოში. მაგრამ, რადგანაც, შეიძლება, მთლად გაჩუმებამ არა სასურველად იმოქმედოს მკითხველზე, რამდენადმე მაინც დავაკმაყოფილებთ მას ამ მხრივაც.

საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნაში

მეფედ წოდებული ჯორჯ სტოკსის ერთ წერილში შემდეგ საგულისხმო სიტყვებს ვკითხულობთ: „მე არ ვიცი ვინაა მეცნიერების საღ დასკვნებს, რომ საწინააღმდეგონი იყვენ ქრისტიანული რელიგიისა. შეიძლება ზოგიერთა მეორე ხარისხის ცოდნის კაცების უცნაური სამეცნიერო მოსაზრებანი მეცნიერების შეურყეველ დებულებად საღდებოდენ საღმე და ისინი მართლაც საწინააღმდეგონი იყვენ რელიგიისა. მაგრამ მე არასოდეს ნებას არ მიცემ ჩემს თავს ვთქვა, რომ მეცნიერებისა და რელიგიის შორის არსებობს წინააღმდეგობა. ქეშმარიტი მეცნიერება და ქეშმარიტი რელიგია ერთი შეგორის თანახმა არიან“.

„მეცნიერული კვლევა-ძიების დროს, გვასწავლის უწარჩინებულესი ფიზიკოსი ტომსონი, მარტო სუბუქი აზრების კაცები გაღიბრებიან ხოლმე, ურწმუნოებისკენა, მაგრამ ეს ემართებათ იმათ იმის გამო, რომ ამ გვარი ტკუის პატრონებს საერთოდ არავითარი სიძნელე არ აფიქრებთ და ყველა საპასუხო პრობლემებს ისეთი სიადვილით სწყვეტენ, რომელიც სწულებით არ შეჭფერის მეცნიერულად აღზრდილ გონებას“.

ამისივე მსგავსი პირველ ხარისხოვანი ფიზიკოსი სერ ოლივერ ლოჯი იძლევა კითხვას: რა დასკვნის გამოყვანა შეიძლება, თქვენი შეხედულობით, ძველ გადმოცემათა და მოთხრობათა შესწავლისაგან თანამედროვე მეცნიერების ნათელის ქვეშ დაყენებითა?

პასუხი: „აი რა: მრწამს ერთი, დაუსრულებელი და საუკუნო არსება, მოყვარული მამა-ხელმძღვანელი, რომლიდანაც ყოველი არსი ღებულობს თავისი მყოფობის დასაბამს“.

აი რა შეხედულობისაა ქვეყნის გაჩენაზე და აღორძინებაზე ნამდვილი მეცნიერება.

წინდაწინ ვიცით, რომ ბ. გომართელისთვის ეს მგლის თავზე წაკითხული სახარებაა. იგი ისეა შეპყრობილი ჰკელოს მონობით, რომ ვერავითარი ძალა ველარ ჩაპბერაუს მას დამოუკიდებლობის სულს და სიკვდილამდე უნდა ჰკელოს სტერიქარასხად დარჩეს.

სამწუხაროა მხოლოდ „ნაკადული“-ს რე-



დაქციის საქციელი. ვერ გავვიგია, რა მოსაზრებით უთმობს იგი ჟურნალის ფურცლებს გამაბრუებელი ღვარძლითა და კუდბეწვათი შეზავებულ წერილებს? გაჟღერა მოზარდი თაობისა ტლანქი და უხეში მატერიალისტური მსოფლმხედველობით, მოშხამა მათი ნორჩი გულისა აგნოსტური მისწრაფებითა და რწმენითა უმაღლური სამსახურის გაწევა სამშობლოსადმი და ნუ გაუკვირდება „ნაკადული“ს რედაქტორს, რომ შეგნებულმა მშობლებმა ახლოს აღარ გააკარონ თავიანთ შვილებს ასეთი უკუღმართი მიმართულების წერილების გამავრცელებელი ჟურნალი.

სეფეველი.

### მატერიალიზმი. <sup>1)</sup>

(გაგრძელება.)

ჯერ კიდევ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მსწავლულნი ფეზიოლოგნი ფიქრობდნენ, რომ საჭირო არ არის მივიღოთ სიცოცხლის ძალა და ამობდნენ, რომ ის ძალები, რომელნიც მოქმედებენ ორგანიზმში, იგივეა რაც ბუნებაში მოქმედი ძალებიო.

მას შემდეგ აზრთა ცვლილება მოხდა და დღეს ცნება სიცოცხლის ძალებზე ან ვიტალიზმზე ხელახლა მნიშვნელობას ღებულობს. ბუნგე სწერს: „რაც უფრო სრულათ, ყოველმხრივ და საფუძვლიანათ ვიწყებთ ბუნების ძალების შესწავლას, მით უფრო ჩქარა ვრწმუნდებით, რომ იმ მაგალითებს, რომლებს ახსნას ფიზიური ან ქიმიური გზით ვფიქრობდით, ძალიან რთული ხასიათი აქვს და დასკინიან ყოველგვარ განმარტებას.“ მართლაც და ჩვენ არ შეგვიძლია ავხსნათ კაბილიარულ <sup>2)</sup> თვისებით

<sup>1)</sup> იხ. „ზინ. საქ. № 9.

<sup>2)</sup> კაბილიარული თვისება ჰქვია იმ მოვლენას, რომლის ძალითაც წვრილ მილებში წყალი იმაზე ზევით ადის, რამდენიც მილი ჩაფლულია წყალში. მაგ. შუშის წვრილი მილი, რომ წყლით სავსე ჭიქაში დასწვრივ ჩაუშვით, მილის წყალი ჭიქის წყალზე მაღლა დადგება.

და ენდოსმოსის <sup>3)</sup> მოვლენით არც მცენარეების საზრდობა, არც გადამუშავება მათგან მიღებული ნივთიერებისა სხვადასხვა გვარ საუცხოვო ნაყოფებად, არც ფოთლების განსაზღვრულ ფერის შექმნა. რატომ არის, რომ ვარდი წითლათ ყვავა, ხოლო ია—ციფრათ? ანუ მაგ. ჩვენ წინ ძვეს ორი ხორბლის მარცვალი; ერთ მათგანს შეუძლია აღმოცენება და მაშასადამე სიცოცხლეც, მეორეს არა და მაშასადამე მკვდარიც; რა განსხვავებაა მათ შორის ფიზიურათ ან ქიმიურათ? ვინ კაცთავანმა ნახა ან გაზომა ეს სისიცოცხლე, სულიერი ძალა?

მატერიალისტს რომ ჰკითხო, საიდან წარმოსდგება სიცოცხლეო, იგი, არ მიმხედველი ლიბიხის, ტინდალის და პასტერის მრავალგვარ გამოკვლევისა, რომლების მეოხებით უარყოფილია ყბადაღებული generatio equivoca, <sup>4)</sup>—მაინც გირჩევს ირწმუნო, რომ სიცოცხლე ოდესმე არსებობდა ქვეყანაზე, რომ ორგანიზმები წარმოსდგენ არაორგანიულ მატერიის სხვადასხვა შემთხვევით შეერთების გამო. მაგრამ ეს ხომ წინააღმდეგია მეცნიერების მიერ გამოკვლეულ ფაქტებისა; იგი არასოდეს არ განცდილა (ე. ი. არავის უნახავს), რაზედაც თანახმაა თვით დარვინიც. გეკკელს კი ეს ჯერ კიდევ დამატკიცებელი თვითწარმოშობა აუცილებლად მიაჩნია, რადგან უამისოთ უნდა მივიღოთ, რომ ქმნილების დასაბამი ზებუნებრივია.—ქვეყნიერების შემოქმედი ღმერთია. ამნაირათ თავისი ურწმუნოება ღვთისადმი მატერიალისტს შეუძლია გაამართლოს მხოლოდ ისეთი საგნის რწმენით, რის დამტკიცებაც შეუძლებელია, რის შეუძლებლობაც დამტკიცებულია მეცნიერებისაგან. ტომსონის ფიქრით არაფერი არ გვაძლუებს მივიღოთ, რომ საგნები შექმნილია, რადგან შესაძლებელია სიცოცხლის თესლი ქვეყანაზე მსოფლიოს სხვა სხე-

<sup>3)</sup> ენდოსმოსის ეძახიან ერთი სითხისგან მეორის შესრობას. მაგალ. მაგრათ თავდაცმულ თიხის ბთლით რომ წყალში სპირტი ჩავდეთ, სპირტი გამოვა და წყალში გაერევა.

<sup>4)</sup> თვით ჩასახვა ან თვით წარმოშობა, ე. ი. რომ საგნები თავისთავათ გაჩნდნენ.



ულთაგან ჩამოყარდნილიყოს. მაშინ როგორ-  
 და გაჩნდენ ეს თესვები ამ სხვა სხეულებზე?  
 და რატომ დღესაც არ ცვივიან იქიდანვე თეს-  
 ლები ახალი ჯერ კიდევ უნახავი ორგანიზმე-  
 ბისა? შპილდერი ამბობს (ჩვენ სიამოვნებით  
 ნებას ვაძლევთ ჩვენ მოწინააღმდეგეებს ერთმა-  
 ნეთი გაამტყუნონ): ინფუზორების<sup>6)</sup> მტვერი არ  
 შეიძლება გადაიდეს ან გადატანილ იქნეს ერ-  
 თი მსოფლიო სხეულიდან მეორეზე. მეტეო-  
 რიტებს არ შეეძლოთ მოეტანათ სიცოცხლე,  
 რადგან ივინი გავარვალებული<sup>7)</sup> დაფრინავენ.  
 თუ ცხოველთა ჩასახვა დედამიწაზე მეტეორი-  
 ტების ბრალი იყოს, ეს მოხდებოდა მხოლოდ  
 ზოგიერთ ადგილზე, რაც წინააღმდეგია ყველა  
 იმისა, რასაც შეცნიერება ვაძლევს“ (ე. ი. სი-  
 ნამდვილისა (Das Leben etc. 27). სხვები ფი-  
 ქრობენ, რომ ეს თესვები ყველა თავის თვი-  
 სებებით თვით პირველყოფილ ნისლოვან მატე-  
 რიაში იმყოფებოდნენ წყალმბადის ატომების სა-  
 ხითო; ტინდალი მაგ. ფიქრობს, რომ გრძნობი-  
 ერება, შეგნება და ნება ყოველივე მათი თვი-  
 სებებით ოდესღაც ცეცხლის ღრუბელში იმყო-  
 ფებოდნენ. აგრეთვე ო. ზახარიასიცი (O. Zacha-  
 rias) იმ აზრისაა, რომ „სიცოცხლის თესვები  
 მსოფლიო სივრცის პირველყოფილ ნისლში იმ-  
 ყოფებოდნენ“. თითოეული ამ წარმოდგენათაგანი  
 არ ექვემდებარება არავითარ გამოკვლევას და  
 საიდან შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა მის  
 (გამოკვლევას)? სხვები ფიქრობენ რომ სიცოც-  
 ხლის თესვებს შეეძლოთ ათასი წლობით 2000<sup>8)</sup>  
 სიცხე აეტანათ, კიდევ სხვები ამტკიცებენ, რომ  
 სწორეთ უზომო სიცივეებმა და ყინვებმა შეი-  
 ნახეს ივინი გაყინულ მდგომარეობაში. მაგრამ  
 ყველა ეს აზრები არაფერს არ გვეუბნებიან ამ  
 დასაბამთა (სიცოცხლის თესლთა) წარმოშობის  
 შესახებ.

იმის შესახებ, თუ როგორ წარმოსდგა ამ  
 ორგანიული სიცოცხლისაგან აზრი და ცნობი-  
 ერება, მატერიალიზმი ისეთ დებულებებს იძლე-  
 ვა, რომლების დამტკიცება არ შეიძლება და

<sup>6)</sup> ინფუზორები — ზღვის წვრილი ცხოველები,  
 რომლებიც უზრუნველყოფენ თევზს და სხვა ცხოველებს.

<sup>7)</sup> ძალიან გახურობული.

რომლებიც ნდობაზე არიან დამყარებულნი.

კ. ფოგტი და სხვები ფიქრობენ, რომ აზ-  
 რები მატერიის განყოფანი არიან, ტვინის მო-  
 ლეკულებს შეადგენენ. მაგრამ რადგან აზრს  
 არც ერთი მატერიის თვისება არ აქვს, ამიტომ  
 ასეთი შეხედულება მაზე ცხადი წინააღმდეგია  
 ქიმიის ძირითადი კანონებისა.

ამით სულაც არ თავდება მატერიალიზმის  
 დებულებანი. შპილდერის „მსოფლიო“ ეთე-  
 რი — ნივთიერება, რომელიც აზროვნებს ლო-  
 გიკურად და მიზნის შესაფერად, მაგრამ ამის-  
 თან შეუგნებლათ, ხომ საკვირველია, მაგრამ  
 შპილდერს შემდეგ მატერიალიზმი კიდევ უფ-  
 რო გამდიდრდა ახალი, კიდევ უფრო საკვირ-  
 ველი, თეორიებით. „ჩვენ იძულებული შევიქ-  
 ნებით ატომებსაც მივაწეროთ ცნობიერება“,  
 ამბობს პროფ. აენარიაუსი. გვეყვლი თვის წიგ-  
 ნებში „Die perigenesis der plastidule“ კიდევ  
 უფრო შორს მიდის; — ის მოითხოვს, რომ ყო-  
 ველი ნივთიერება სულიერათ მიგვაჩნდეს და  
 გერწამდეს, რომ თითოეულ ატომს აქვს საკუ-  
 თარი სამარადისო და უცვლელელი „ატომის  
 სული“. ატომების მოძრაობა, ამბობს იგი, ქი-  
 მიურ შეერთებათა შექმნისა და განყოფის დროს  
 შეიძლება აიხსნას მხოლოდ იმით, თუ მივი-  
 დებთ, რომ ატომს აქვს გრძნობა და ნება. შემ-  
 დგ გვეყვლი გაბედულათ ამყარებს ასეთ დე-  
 ბულებებს: თუ თითოეულ ატომს აქვს გრძნო-  
 ბის მიმდგომის ნიჭი და ნება, მაშინ პლასტი-  
 დულას (ორგანიული მოლეკულა) აქვს მეხსიე-  
 რება და ამით განიჩრევა იგი ატომისაგან. ყვე-  
 ლა პლასტიდულას აქვს მეხსიერება. ამ ნიჭს  
 მოკლებულია ყველა სხვა მოლეკულა“ (გვ. 40).  
 ნიჭი წარმოდგენისა და შეგნებისა, აზრისა და  
 ცნობიერებებსა დაფუძნებულია შეუგნებელ მეხ-  
 სიერებაზე (!) (გვ. 41). მემკვიდრეობა პლას-  
 ტიდულისა მეხსიერებაა, ხოლო ცვალებადობა —  
 ნიჭი მისი აზროვნებისა. „პირველი მიჩეზია  
 ორგანიულ ფორმების უცვლელბობისა, ხოლო  
 მეორე — მათი სხვადასხვაობისა“ (გვ. 69).

რამდენ რას არ იგრძნობდა მაშასადამე  
 ქიმიისთვის თავი, რომელიც გაუდგინს სატყვიით  
 იმდენ ატომს შეიკავს, რომ მათ დაიუღას ადა-



მიანი 250,000 წელიწადს მოუნდებოდა! რამდენ რას არ იფიქრებდა შვედური წუმწემა (სპიჩკა), რომელშიდაც მილიონჯერ მილიონი მოლვეკულები მოიგონებდნენ თავის წარსულ ცხოვრებას იმ დროიდან, რაც იგინი პლასტიკულებათ გახდნენ!

ნუთუ მწარე დაკინვა არ გამოიხატება იმ გარემოებაში, რომ ადამიანები, რომლებიც უარყოფენ ცისა და ქვეყნის აღმავსებელ ღვთის არსებობას, ბოლოს იძულებული არიან იცნონ ატომი, ეს უსაზღვრო მცირე ნივთიერება, წარმოუდგენელ ძალების მექონეთ, ყოველ მიზეზთა მიზეზათ, რაღაც დაუსაბამოთ და დაუსრულებელათ და პირქვე დაემხონ ამ კერპის წინაშე? და ეს ხალხი, რომელიც გვირჩევს ვირწმუნოთ ასეთი ახირებული საგნები, იმავე დროს გვარწმუნებს, რომ მას სწამს მხოლოდ ის, რაც უნახავს, რის ხილვა და შეხება შეიძლება, რის დამტკიცებაც შეიძლება, რაც ეთანხმება ფაქტებს, რაც წმინდა გონების კრიტიკას გაუძლებს?! არა, ამ ყბადაღებულ მატერიალიზმს ადვილათ და გაბედულათ შეუძლია გაუსწორდეს ჩვენი ქრისტიანული სარწმუნოება თავის სიმარტივეთ და ლოღიკური სისწორით.

მატერიალიზმის მოძღვრება სავსეა წინააღმდეგობით და უძლურია ნივთიერი ქვეყნის განმარტებისათვისაც კი. ამ კითხვის შესახებ დ-რი კლინი ამბობს (Die Natur 1894): „მატერიალიზმის გავრცელება სამეცნიერო წრეებში ნინაშია სწავლულების ლოგიკურ განვითარების ნაკლოვანებებისა“.

(შემდეგი იქნება).

### ჯვარს აცვეს ნაზარეველი.

ცა გასკდა, მთვარე—ვარსკვლავთა  
ბინა იცვალეს ნიშითა,  
ეშმაკთა გუნდი შეძრწუნდა,  
ჯოჯოხეთს სტოვებს შიშითა.

კრემლებს ღვრის მთელი სამყარო,  
მზის მტხინვარება განეღდა,

ალარ უბრწყინავს სხივები,  
გაჰკრა სინათლე, დაბნელდა.

ნეტა რა მოხდა ასეთი?!  
—ჯვარს აცვეს ნაზარეველი,  
ჩვენი ხსნისათვის მოსული,  
ბოროტებისა მძლეველი!

ქვეყნად მათა—კლდენი განიპო,  
საფლავნი გასკდა შავბნელი,  
წმინდანი აღსდგენ საფლავით....

შეიძრა ზესკნელ—ქვესკნელი.  
ასტყდა ქეჟა და ქუხილი,  
მეხთა ცემა და ზარია,  
კრემლსა ღვრის მთელი ბუნება,  
ქვითინებს მთა და ბარია.

ნეტა რა მოხდა ასეთი?!  
—ჯვარს აცვეს ნაზარეველი,  
ჩვენი ხსნისათვის მოსული,  
ქვეყნად ბოროტის მძლეველი!

შეირყა ზესკნელ—ქვესკნელი  
ამ ამბით, მთა და კლდე გასკდა....  
კაცის გული კი....არ მოღბა,  
არ გატყდა, არა, არ გატყდა!!..

უჰ! კაცო! ცოდვა ეგზომ განძინდეს!  
„და ვაი შენდა, რაჟამს დაგსჯიდეს“\*)

რ. საჯავახელი.

### საეკლესიო კრების შესახებ მოძრაობა.

ბევრი განცვიფრებაში მოდის ასეთ მოულოდნელ უწყებაზე უწ. სინოდთან ახალი წინასწარ კრების საბჭოს დაარსების შესახებ, რომელსაც თითქო კავშირი აქვს საჩქაროთ საეკლესიო კრების მოწვევასთან. 1906 წ. კრების წინასწარმა საკრებულომ, ყველაფერი მოამზადა კრებისათვის, უმაღლესად დამტკიცდა კიდევ წესები, თუ როგორ უნდა მოეწვიათ კრება. მაგრამ შემდეგ საქმე ამოსდეს მაულ ქვეშ

\*) იხილეთ სერობის საგალობელი, ანდრია კრიტიკისა—დიდ მარხვის 1-ლ შეიდეულში.



„უდროობისა გამო“. —საიდან გამოტყვერა „ეს უდროობა“ არავინ უწყის. —მას აქეთ ხუთი წელიწადია არა ერთ გზის ყოველი მხრით გაიძახოდენ კრების მოწვევის შესახებ; პასუხად იყო ხოლმე სამარისებური ოფიციალური სიჩუმე. ამ ორი თვის წინათ სინოდის ობერპროკურორმა აშკარად წარმოსთქვა, რომ კრება მოსალოდნელია რომელიმე იმის მოადგილეს დროსაო. და ასე უცებ კი მოხდა სინოდის სხდომა, „ცარსკოე სელოში“ წასვლა, სიტყვები საჩქაროთ კრების მოწვევაზე და უცებ გამომცხვარი სინოდის კომისია კრებისათვის მასალების „შესამზადებლათ“. ნეტავ რას ნიშნავს ეს? აქ თუ რაიმე შეფარდებას მოვიყვანთ, მაშინ ძნელი არ იქნება ამ კითხვაზე პასუხის მიცემა. ამ დღეებში სინოდში გაირჩევა სინოდის ბიუჯეტი. სათათბიროს ხუთი წლისმოქმედებას ახლა უკეთებენ უკანასკნელ ანგარიშს. სათათბიროში საეკლესიო საქმეებით ბევრი იყვნენ დაინტერესებულნი, საეკლესიო თვალსაზრისზე ბევრი ალაპარაკდნენ. მიუხედავათ იმისა, რომ ხუთი წლის განმავლობაში უზღებოდა საკანონმდებლო დაწესებულებებს სასულიერო უწყებასთან მუშაობა საეკლესიო საქმეების გაუმჯობესების შესახებ, მაინც ამ ხნის განმავლობაში არავითარი არსებითად არ გაკეთებულა. ყოველივე რეფორმებს სდებდა კრებამდი... კრება კი არსად იყო. უკანასკნელად ბიუჯეტის განხილვის დროს სათათბიროში გამოითქვა სურვილი კრების მოწვევის შესახებ. ამასთანავე ამ ბიუჯეტის განხილვის დროს უნდა გადასწყდეს უმთავრესი საკითხი საეკლესიო შკოლების შესანახი თანხის შესახებ; სათათბირო სასულიერო უწყებას ამ კითხვის გარჩევის დროს არაფრად სწყალობს. ასეთ პირობებში ეკლესიის მხრით საამდროვო იქნებოდა რაიმე საპატიო ნაბიჯის გადადგმით პირველ ყოვლად მდგომარეობაში ჩააყენოს თავისთავი საზოგადოებრივ აზროვნებასთან და საკანონმდებლო დაწესებულებათა თვალში, რომელნიც ამ უწყებაში ხედავენ მხოლოდ ნაცვლად შემოქმედებითი მუშაობისა მხოლოდ ობსტრუქციას სათათბიროს მოქმედების წინააღმდეგ. მეორე მხრით

შეუმჩნეველი არ რჩება ნაციონალისტების ყოფილი კრება, რომელმაც გაითვალისწინა არჩევნები მომავალი მეოთხე სათათბიროსათვის.

ნაციონალისტებს მართველი სფეროები ძირიელ უჭერენ მხარს. მაგრამ ნაციონალიზმმა თვის დროშაზე პირველ ადგილზე აღბეჭდა მართლმადიდებელი კრების აღდგენა. რაც უნდა მოსატყუარი იყოს ეს „წარწერა“ ნაციონალიზმი მაინც სცდილობს ხელთ იგდოს უპირატესობა ამ საკითხის გატანაში.

მერმე რა, —იტყვის ვინმე, —განა სულ ერთი არაა, რა მოსაზრებდნადაც უნდა გამომდინარეობდეს ასეთი მსწრაფლი გადაწყვეტილება კრების შესახებ? ოღონდ კრება მოიწვიონ, რომელიც სურსთ სხვა და სხვა მოაზროვნე საზოგადოებრივ წრეებს. სასიხარულოა ახალი მოძრაობა კრების საკითხისა და სხვა მხარესთან ჩვენ რა საქმე გვაქვს.

საქმეც იმაშია, სასიხარულოა თუ არა ჯერ კიდევ არ ვიცით. საეკლესიო მისაჩნევია ყოველივე მოწყობილება ამ კრების გარშემო. პირველად ვხედავთ, რომ დაარსდა ახალი კრების წინასწარი საბჭო. ეს კი ხნის ნაცნობი სიტყვებია. ასევე ეწოდებოდა იმ წინასწარ კრების საკრებულოს, რომელიც დაწესდა 1906 წელში. სინოდის წარმოდგენით ეს ახალი დაწესებულება თითქო წინანდელს მიაგავდეს და ამავე საპატიო საგანს ანდობს —დაასრულოს დაუბოლოვებელი საქმე. მაგრამ საქმით სრულიადაც არაა ასე. ახალი საბჭო არაფრით არ შეიძლება ძველს შეედაროს. იქ იყო შეკრებილი მრავალი არქიელები, ეკლესიური მსწავლელები და საეკლესიო საზოგადო მოღვაწენი, რომელნიც სხვა და სხვა აზრების წარმომადგენელნი იყვენ; აქ კი უბრალო მოხელეების კომისია, წმინდა ადმინისტრაციულის ხასიათისა, ერთ ფეროვანი, ისეთი, რომ ორი აზრის მასზე შედგენა შეუძლებელია! ვინ არ იცის მთავარ-ეპისკოპოსის სერგი და ანტონის შეხედულებანი, დეკ. ბუტკევიჩის და „კაზიონური ფიზიონომია ორი საეკლესიო ოფიციალების რედაქტორებისა? ახალი საბჭოს წევრები, წინან-



დელ წინასწარ კრების საკრებულოს ყოფილი წევრნი „უკიდურესი“ შემარჯვენები იყვნენ. ასეთს „საბჭოს“, ჩვენი ფიქრით, არ ენდობა წმინდა კოდფიკაციური სამუშეოარი საწინასწარო კრების საკრებულოს ნაშრომის ერთად თავის მოსაყრელად, მისთვის რომ ყველამ უწყის ეს კოდფიკატორები რა ნაირს სულს ჩაბერავენ ამ მასალებს, როდესაც ხელთ იგდებენ. თუ საჭირო იყო დაკავშირება სინოდის საბჭოსი წინანდელ 1906 წ. საკრებულოსთან, მაშინ იმ უმეტესობისაგან უნდა შემდგარიყო იგი და ან სხვა და სხვა მიმდინარეების წარმომადგენლებისაგან. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ახალი საბჭოს როლი მარტო მასალების დალაგებით არ განისაზღვრება. დალაგება იმათი საჭიროც არაა, რადგან დალაგებულია უკვე. აქ ალბათ გაწესრიგება კი არ უნდათ მასალების, ირამდე გადათვალთქვება 1906 წ. საკრებულოსი. გამოკრევა იქიდან მისი, რაც ახალ მოთხოვნილებას „შეფერება“, ისე რომ „არა სასურველი“ ელემენტები ან განიღვენოს, ან დაიხრდილოს. ასეთი მუშაობის ნიმუში ჩვენ უკვე ვნახეთ უწ. სინოდის წარსულ ზაფხულს სესიის მუშაობაში, რომელსაც ხელმძღვანელებდა იგივე ყოვლად სამღვდელონი სერგი და ანტონი.

რა შედეგი მოჰყვება ამ ახალ სასინოდო საბჭოს მოქმედებას, რომელსაც მეთაურობდა ნაწილიც არა აქვს ყოფილი საწინასწარო კრების საკრებულოს ავტორიტეტისა და მიინც რწმუნება აქვს ეს საქმე „განაგრძოს“ მივიღებთ ისეთივე პროექტებს, როგორც წარსული სინოდის საზაფხულო სესიამ შექმნა. საკმაოდ „შემუშავებული“ მასალა შემდეგ გადაეცა საეკლესიო კრებას. — როგორი იქნება ეს კრება რასაკვირველია ძრიელ საჭიროა ვიკოდეთ. მაგრამ კომბინაცია საშიშარს რამეს წარმოადგენს. საეკლესიო საზოგადოებამ სრულად ცხადად განმარტა თვისი შეხედულებანი ნ. — ნ წლის წინათ. კრება მაშინ იქნება ავტორიტეტიანი, როდესაც ის შესდგება იერარქიის სრული უფლებების მქონე სამღვდლო და საეროთაგან არჩეულ წარმომადგენლებისაგან. ასეთი იყო ამას

წინათ შემდგარი კრება ერთ მორწმუნეთა, რომელიც დაკანონდა საეკლესიო მთავრობისაგან. ნუ თუ მართლ-მადიდებლები ერთმორწმუნეებზე ნაკლები არიან? აწ არსებული წესების ძალით სამღვდლოების და საეროთა წარმომადგენლების კრებას არა აქვთ გადამწყვეტი ხმის უფლება. ამასგარდა, თანამედროვე საეკლესიო პალატის წინამძღოლნი საზოგადოთ წინააღმდეგი იყვნენ სასულიერო — სესიის წარმომადგენლობისა. ჩვენთვის გასაკვირვალი არ იქნება, უკვე თუ აგრე შეიცვლებიან კრების მოწვევის წესები, ანუ წოდებული წარმომადგენლობა ისეთი იქნება, რომ მისგან წარმოდგება მხოლოდ სტატისტიკები. ერთი სიტყვით, გამოვა რაღაც დიდი სამისიონერო კრების მსგავსი, რომელიც კრების ავტორიტეტის ბიარალის მფარველობის ქვეშ გაატარებს ახალი საბჭოდან შემუშავებულ მასალებს.

ასეთი გეგონია ჩვენ კრება. შეიძლება მეტიც ვიფიქროთ. კრების შესახებ ოფიციალურად ძლიერ საჩქაროთ წარმოითქვა აზრები. ნ წლის განმავლობაში ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს წინ და ეხლა ჩქარობენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ახლოვდება სათათბიროს მუშაობის შეჩერება და ასე თუ ისე მეოთხე სათათბიროს მოწვევამდე ხანი გავა. იქნება ამ დროსთვის უჩქარიან? სანამ მეოთხე სათათბირო გაისნებოდეს ეს დრო ძრიელ ხელსაყრელია ასეთი კრებისათვის. მაშინ სათათბიროს ხმა არ ექნება კანტროლი გაუწიოს მას, არავითარი მიხლა-მოხლა საკანონმდებლო პალატებსა და კრების წარმომადგენლების შორის არ იქნება, — ერთი სიტყვით, სრული თავისუფლება იქნება; აქ მიუმატოთ კიდევ ისა, რომ შესაძლებელია საჩქაროთ გატარდეს რაიმე კრების დადგენილებანი, რადგან სათათბიროს მოწვევამდე საჭირო იქნება მოსწრება, თუნდაც ისეთ დადგენილებათა, რომლებიც სახელმწიფოს მხარეს ეხებიან, გარდა საკანონმდებლო დაწესებულებებისა. როდესაც სათათბიროს ეკლესიის წარმომადგენლები დაბრუნდებიან თაფრილის სასახლეში ახალი მანდატებით, იმათ ეტყვიან, რომ მათი სურვილები აღსრულდა და კრებამ უკვე



თვისი საქმე გააკეთა. ამავე დროს წამოაყენებენ ახალ ანგარიშებს კრების წინადადების განსახორციელებლად. შესაძლებელია, მართა გასაცნობად...

რომ ასეთი ბოლო არ ექნეს კრებას და არ დასამარდეს უკანასკნელი იმედები ეკლესიის განსახლებლად. სათათბიროს ეკლესიის წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ ზომები. დროა ცხადათ და გასაგებათ სთქვას სახელმწიფო სათათბირომ, როგორი კრება სურს მას და როგორი კრებას სთვლის იგი ეკლესიის ხმის უფლების გასამყვანებლად. („P'YB“ № 60, 1912 წ.)

დ. კ. ა—ძე.

„700 წლის ქალი.“

18 იანვარს შესრულდა 700 წელი ჩვენი სასიქადულო მეფის თამარის გარდაცვალებიდან, მაგრამ ჩვენ საზოგადოებას ეს დღე არაფრით აღუნიშნავს. როგორც სჩანს ამნაირივე დღეებით ჩაივლის I მისი, თამარბაც, რადგანაც არავითარი სამზადისი არ ეტყობა ჩვენ საზოგადოებას, რომ იმ დღეს მაინც იღვწასწაულოს ჩვენი სათაყვანებელი დედოფალი. სწორეთ არ ვფიქრობდით, თუ ჩვენი საზოგადოება ასე დუმილით ჩაატარებდა იმ თამარის ხსოვნას, რომლის სახელი მუდამ დღე და საათს, მტერთან თუ მოყვარესთან პირზედ ეკრა. მაგრამ ჩვენ იმნაირი ხალხი ვართ, რომ სიტყვით თუნდ შაბილონის გოდოლს ავაშენებთ და საქმით კი... ნურას უკაცრავათ. და, აი, ამნაირ გულგრილობას ვიჩინებ მაშინ, როცა გარს უთვალავი მტერი გვახვევია, ძერასავით ვეძიძგინს და ყვავ-ყორანივით დაგვიჩხავის ყოველ წაშს: „შე, — თორემ შენ რა იყავიო, არ გქონდა ენა, არ გქონდა მწერლობა, ისტორია, არავითარი კულტურა და ხერხიანი წასულიო.“ და აი ახლა გვეძლეოდა შემთხვევა გვეჩვენებია, მართლაც მზროოდ მათით გვრდვია სული თუ არა, და გვქონდა მწერლობა, სახელმწიფოებრივობა, ენა, რელიგია, ისტორია და რაიმე კულტურა თუ არა.

ჩვენ აღვიღებ რომ სხვა ვინმე ყოფილიყო მართა ამ მიხნის მისაღწევად თამარისა-

ნა დიდებულ პიროვნებას კი არა უბრალო მომაკვდავსაც კი იხმარდა საბაბათ და ისეთ დღესასწაულს გამართავდა, რომ მთელი განათლებული ხალხის ყურადღება მიეპყრო.

თამარის დრო ხომ ოქროს ხანას წარმოადგენს საქართველოს ისტორიაში. ამ დროს ჩვენი ხალხის კულტურამ უმწვერვალეს წერტილამდის მიიღწია. მაშინ როცა სხვა მეზობელ ხალხში ახლად ფენს იკიდებდა სახელმწიფოებრივობა, საქართველო იმ დროს ერთ უძლიერეს სამეფოს წარმოადგენდა; მაშინ, როცა სხვაგან ეხლა იდგამდა ფენს მწერლობა, იმ დროს ჩვენში ყვავდა როგორც სიტყვა-კაზმული, ისე საღვთისმეტყველო მწერლობა და საქართველომ მოგვცა ლიტერატურის ისეთი ტიტანები, როგორც არიან ხონელი, ჩახრუხაძე, შავთელი და მსოფლიო გენიოსი შოთა.

ტენიკა-არხიტექტურაც უმაღლეს წერტილამდის იყო განვითარებული. მაშინ როცა ზოგიერთმა მეზობელმა ხალხმა ხეირიანათ სახლის შენებას კი არ იცოდა, იმ დროს აქ სარწყავი არხებით რწყავდნენ დღეს გადაზრუკულ ეკლებს, მთის წვეროში აყვავდათ მიღობით ანკარა წყალი და კლდეებში, გამოქვაბულებში აშენებდნენ თითქმის მთელ ქალაქს... და განა შეიძლება გაზეთის ფურცლებზედ მაშინდელ საქართველოს დიდების აღწახსება?! ერთი სიტყვით საქართველოში თამარის დროს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრება უმწვერვალეს წერტილამდის იყო აღწეული.

ვიმეორებ, თამარის იუბილეს გადახდა ჩვენ საზოგადოებას მისცემდა საშუალებას თამარის პატივისცემის გარდა გაეცნო თავისი თავი და თავისი წარსული განათლებაც კაცობრიობისათვის.

თამარის იუბილეს დროს უნდა გამოფენილიყო მთელი ჩვენი XII საუკუნის ცხოვრება. ეს იქნებოდა ჩვენი წარსულის გამოფენა „ვისტავა“, რითაც აილიამებოდნენ ჩვენი მტერ-მოყვარენი, რომლებიც უკულტურობას გვიკიენებენ და თვითონ კი ჩვენში ამყარებენ კულტურას ყოფილ ეპოქა გიმნაზიის მასწავლებლის და ქალთა გიმნაზიის გამგე ქალის მსგავსად!



ამნაირად თამარის იუბილე ორ მიზანს მიაღწევდა, პირველად პატივს ცემდა თავის სასიქადულო დედოფლის ხსოვნას და მეორედ, კაცობრიობის თვალწინ გადაშლიდა მთელ ჩვენ წარსულ ცხოვრებას და დაახლოვებით გააცნობდა ჩვენს თავს განათლებულ საზოგადოებას.

ვინ იცის რა ამბავს იზამდა, ჩვენ ალაგზე რომ სხვა რომელიმე ეროვნება, თუნდ სომხობა, ყოფილიყო. მთელი წლობით შეუდგებოდა მზადებას და ბრწყინვალე დღესასწაულსაც გამართავდა. ჩვენ კი ვსდუმვართ... ჩვენს საზოგადოებას, როგორც სჩანს, ზოგიერთი ჩვენი დამამცირებელი იუბილის გადახდა უფრო მოსწონს და ხელსაყრელათ მიაჩნია. რა არის ამის მიზეზი? ჩვენი დაკნინება, დაბეჩავება, დაწვრილმანება და ძვალ-რბილში გამჯდარი მონობა...

კიდევ რომ იწყონ მომზადება აწი საღმრთისაწაულოთ, ცოტა დროის გამო ხეირიანათ ვერ მოეწყობა და უფერული გამოვა და უმთავრესი ნაკლი ის იქნება, რომ ხალხი, მასსა, მასში მაინც-და-მაინც პირდაპირ მონაწილეობას ვერ მიიღებს მოუმზადებლობის გამო და ამიტომ ეს დღესასწაული იქნება წმინდა ინტელიგენტური (თუ კი იქნა).

სწორეთ ამნაირსავე მდგომარეობაში იყო ამ რამოდენიმე ხნის წინეთ წმ. ნინოს ხსენებაც. არავის აინტერესებდა არც წმ. ნინო და არც მისი ღვაწლი. მაშინ, როცა საეპარქიო სამოსწავლო საბჭოები შკოლებში ცირკულიარებს გზავნიდნენ სლავიანთა განმანათლებლების კირილე და მეთოდის დღეობა იდღესასწაულეთო, წმ. ნინოს შესახებ კრინტსაც არ ძრავდნენ. მაგრამ საკმაო შეიქნა ყოვლადსამღვდელო ღვინილის მწყემსმთავრული დარიგება, რომ ხალხის გულში მივიწყებული წმ. ნინოს ხსენა განცხოველებულიყო და ლამის ამ მოკლე ხანში ეროვნულ დღესასწაულად ვადიქცეს. ამ ნაირ საშუალებას უნდა მიმართოს ახლაც სამღვდელოებამ, რადგანაც თამარი მისთვის არა მარტო შეფევა, არამედ ერთი მისი წმიდათაგანი და მის სახელის ხსენებას, როგორც სამართლიანად შენიშნავს „შინ. საქ.“ რედაქცია,

უნდა განვახსავებლეთ შესაფერი წირვა-ლოცვით, ქადაგებით და სახალხო კითხვებით.“ და არ გავა რამოდენიმე წელიწადი, რომ თამარის დღეობა ვადიქცევა წმინდა ეროვნულ დღესასწაულად მით უმეტეს, რომ არ არის ჩვენი ქვეყნის რომელიმე კუთხე, რომ თამარის სახელთან რაიმე ლეგენდარული მაინც, დაახლოება, კავშირი არ ქონდეს. თუ სადმე ძველი ციხე და ეკლესიაა ყველას თამარს აწერენ და მისი სახელიც მოწიწებით იხსენიება. ჩვენ სოფელში, ტობანიერში, არის უძველეს დროიდან აშენებული ეკლესია წმ. სამების სახელზე. ხალხის ვადმოცემით, აქეთ გამოუვლია თამარს თავისი ლაშქარით. შეუსვენებიათ ხსენებულ ადგილას და, რადგან წვიმა ყოფილა, ფეხსაცმელებიდან ტალახი დაუფხეკიათ და იმდენი ჯარი ყოფილა, რომ ფეხის ნაწმენდს პატარა გორაკი გაუკეთებია, თამარს შემდეგ აქ აუშენებია ტაძარი, რომელსაც გარს ორი ქვის გალავანი ჰქონია, ერთი ეკლესიის კედლიდგან ორიადლის დაშორებით და მეორე ცოტა მოშორებით. ეს ეკლესია ერთ დროს ძვირფასი მხატვრობით ყოფილა შემკული, რასაც მოწმობს საკურთხევლის აღმოსავლეთის კედელზე რამოდენიმეთ შენახული მხატვრობა. ამისანა ლეგენდები ხომ უთვალავია საქართველოში. ყოველივე ეს იმედს გვაძლევს, რომ დღეს თუ არა ხვალ, წელს თუ არა გაისათ ხალხი თანდათან გაიხსენებს მივიწყებულ ხსოვნას თამარ მეფისას და თვითონვე სხვის უკარნახოთ, ეცთება ღირსეულად იდღესასწაულოს ხოლმე ყოველ წლივ ხსენა ამ თავის სასიქადულო და ღირსეულ მეფე-წმინდანისა, რადგანაც მისმა მოწინავე რაზმმა—ინტელიგენტებმა ვერ შესძლო, თუ არ ისურვა მისი პატივისცემა.

მღვ. სევ. კაკელიძე

## ვიგლა უკვე გადაიცვალა.

სოფლის შთაბეჭდილებიდან.

უალრესი მნიშვნელოვანია, მამაო ექვთიმე, თქვენი დარიგება ჩვენდამი... მხოლოდ ქვეშაორიტებით უნდა მოვახსენოთ, რომ არც თქვენს



კომიტეტს აწყენდა, ცოტა არ იყოს, ასეთი „ღარიგების“ მოსმენა.

ჩვენ მათ ბევრი რამ მოვასხენეთ, მამაო ექვთიმე! მაგრამ არ იქნა და ვერაფერით დავაჯერეთ. მაგალითად: ჩვენ მათ უმტკიცებდით, რომ ჩვენ ერს არ სძულს არც ეკლესია, ზიარება, წირვა-ლოცვა და არც ეკლესიის მწყემსნი. პირიქით ჩვენ მოხარული ვართ, როცა თავმოყრილ ხალხს მამა და მოძღვარი ჩვენი გვიქადაგებს და გვაგებინებს ქრისტიანობას და მის აუცილებელ საჭიროებას. მაგრამ... ვსწუხვართ მაშინ, როცა გაძვალტყავებული ჩვენი მდგომარეობა, ნებას არ გვაძლევს ხუთ-ხუთი თუმნობით გადავიხადოთ ეკლესიის ასაგებათ და კომიტეტი კი... გვიჩქარის, გინდათ თუ არა დღესვე უნდა შემოიტანოთ ხვედრი გადასახადი-ო! აჰა, როგორ?... რითი?! როცა არავითარი სარჩო-საბადებელი აღარ გავაჩნია. ეს თქვენც კარგათ იცით, მამაო ექვთიმე, და სრული დარწმუნებული ვართ რაიმეს მოგვიხერხებთ, რომ ეს შეწერილი გადასახადი—ეკლესიის ასაგებათ, ნაწილ-ნაწილათ და შეძლებისდაგვარათ გადავიხადოთ.

ასე დაათავა ერთილვე კეთილადემ—თვისი საუბარი და მოწიწებით მამა ექვთიმეს კურთხევა სთხოვა, ხელზედ ეამბორა და პიჯერის გადაწერის შემდეგ სახლისაკენ აჩქარებული გასწია.

ჯერ კიდევ სახლში მისული არ იყო, რომ შორიდან რაღაც საშიში ხმა მოესმა.

ერთილეს თმა აებურძგლა და მუხლებში სისუსტე იგრძნო. მაგრამ მაინც ძალა მოიკრიბა და აჩქარებული ისევ სახლისაკენ გაეშურა.

— კაცო! კაცო! სადა ხარ ამდენხანს, სადა?... ხომ კარგათ იცი, რომ ბავში სიკვდილზედ არის მიმდგარი... უსათუოთ უნდა ვაზიაროთ, თორემ შეტი არაა ჩვენი მტერი, მაგ საბრალო ბავშმა ხვალამდისაც ვერ შაიწიოს.

ატირებული ხმით ეუბნებოდა ერთილვე კეთილადემს—თავისი მეუღლე დუღუხანი და თან მწარე ცრემლებით მოსთქვამდა.

ერთილეს გული აუჩუყდა და სასიკვდილოთ გამზადებული ბავშვის ახლო ჩამოჯდა.

— საბრალო ბავში, დიდხნის ავთმყოფობით დასუსტებული, ახლა უკანასკნელ დღეს განიცთიდა. მას აღარ შეეძლო არც კითხვა დედისადმი და არც პასუხი. გაყვითლებული, ჭუჭყით სავსე ლოგინში, ძონძებში გამოხვეული სახლის კედლისაკენ გადაბრუნებული მკვნესარე და მქშინარი იყო.

— გიგლა! გიგლა! სჭამე გენაცვალე, აა—შენ პური, ბაბამ მოგიტანა შვილო! ვევედრებოდა საცოდავი დედა თავის ავთმყოფ პატარა გიგლას და თან მის გამხთარ სახეზე ხელებს უფაჩუნებდა...

— ბავში სდუმდა... სდუმდა, რადგანაც მას ძალა აღარ შესწევდა პასუხი გაეცა თავისი საყვარელი დედისათვის.

მამას ცრემლები თანდათან ემატებოდა და ჭუჭყიანი ჩვრით იწმენდდა.

II.

ლამის 12 საათი იყო, როცა საბრალო ერთილვე კეთილადემ მამა ექვთიმეს ემუდარებოდა:

— მიშველე, მიშველე მამაო! ბავში მიკვდება, უნდა მიზიარო-ო!...

მაგრამ პასუხი მხოლოდ ერთი და იგივე იყო—მამა ექვთიმედან: „ბარათი, ბარათი—კომიტეტისაკენ“!

— საბრალო ერთილვე სრული დარწმუნებული იყო იმაში, რომ მას ბარათს მისცემდენ, რადგანაც წმიდა ზიარების დაკავება არავის შეეძლო, მაგრამ სცხვენოდა მას იმისი, რომ ხვედრი ფული არ ქონდა გადახთილი. დაღვრემილი ერთილვე ისევ სახლისაკენ გამოემგზავრა.

გვიან მოვიდა ერთილვე კეთილადემ და მამა ექვთიმე, საცოდავი ბავში დედის კალთაზე უკვე გადაცვლილიყო.

ღათიკო ლოლობერიძე

ქუთაისი 15 მარტი

კიდევ ცოტა რამ ჩვენი სამკვლელოების ცნობრებიდან.

წარსულ 1911 წელს დეკემბრის შუა რიცხვებში დაიწყო იმერეთის სამღვდლოების დებრტატოა კრება ქ. ქუთაისში. ამ კრებაზე



სხვათა შორის შქონდათ მსჯელობა, თუ რა არის მიზეზი სარწმუნოების შემცირებისა და რა მიზეზის გამო ხალხი ძველებურად აღარ დაიარება წირვა-ლოცვაზე. დასახელებული იქნა სხვა და სხვა საშუალება საქმის გამოსაკეთებლათ მაგ.: ვალოზის გაუნჯობესება ეკლესიაში, ქადაგების გაცხოველება, კვირა უქმი დღეებში ნაწირვებამდი ღუჭნების დაკეტა და სხვა. თუმცა ყველას ნება აქვს, რომ თავისებური შეხედულობა იქონიოს ამა თუ იმ საქმის შესახებ, მაგრამ ჩემი აზრით ყოველ შემთხვევაში ადამიანი მსჯელობის დროს უნდა იყოს პირუთენელი, მიუდგომელი და პირდაპირი და აი მხოლოდ მაშინ იქნება ყურადღების ღირსი და დასაფასებელი მისი მსჯელობა. ამგვირი გულახდილობა არ ვმჩნეოდა ხსენებულ კრებაზე უმეტეს ნაწილ მ. დებუტატებს, ყველა მათ მიერ დასახელებული საშუალება მხოლოდ რამოდენიმეთ გამოაკეთებს სმქმეს და არა მთლად. ჩემი აზრით უნჯობესი იქნება, თუ სამღვდლოება მეტ დროს და შრომას შესწირავს თავის თავის გასწორებას. ხომ მოგეხსენებათ, თუ, საზოგადოთ, როგორი უნდა იყოს მღვდელი. მას უმთავრესად საქირთა მღვდელი თავის ადგილზე იყოს და თავისი ცხოვრებით უნდა იყოს მაჩვენებელი ყოველი კეთილისა, არ უნდა ჩადიოდეს იმ ცუდ საქმეს, რასაც ის ხშირათ უშლის, უკრძალავს თავის საშუალოს. რა გავლენა უნდა იქონიოს იმ მღვდლის ქადაგებამ, რომელიც ნაწირვებს თვით არის თითით საჩვენებელი. როგორ უნდა მიიზიდოს ხალხი ტკბილმა ვალობამ ეკლესიაში, როდესაც მას ეკლესიაში ვალობით ატკობენ და ეკლესიის გარეთ კი, ვინ იცის, მღვდელი და პრიჩეტნიკი რამდენ ცუდ საქმეს ჩადიან. მაშინ შიოხშირი, დამარიგე, გამასწორე, თუ ჩემი დამრიგებელი ჩემზე უარესს არ ჩადიბარ. ამა წლის ვაზეთ „შინაური საქმეების“ 2—3 № ში დაბეჭდილ თავის წერილში მ. დო—ტი ჩხაიძე ამბობს: „საქირთა წინამორბედისებური ცხოველი ქადაგება და სხვა. მართლაც რომ საქირთა. მაგრამ უფრო საქირთა ცხოვრებითაც წაბაძვა იოანე ნათლისცემლისა, მისებურად უწიკველო ცხოვრება და მერე ქადაგება, სხვისი გასწორება თორემ, რა მნიშ-

ვნელობა აქვს ხარბი, მატყუარა, ანგარების მოყვარე, ლოთის, ვაქროს და სხვა არა კეთილ საქმის ჩამდენის მღვდლის ქადაგებას. რომ უმეტესი ნაწილი აღტურვილია ამგვარი საგმირო საქმეებით, ეს ექვ გარეშეა. დასამტკიცებლათ ამისა რამოდენიმე მაგალითს ნ--ის საბლალოჩინო ოლქის სამღვდლოების ცხოვრებიდან მოგახსენებთ და დარწმუნებული ვარ ამ გვარი მამები სხვაგანაც ბლომათ იქნებიან.

ერთ ეკლესიას აქვს ერთი დიდი ნაკვეთი სახნაუი ადგილი; ეს ადგილი ჯერ ერის კაცს შქონდა მითვისებული და სასულიერო მთავრობამ დიდი ვაი-ვაგლახით ამოიგო, მაგრამ რა გამოვიდა, ერის კაცის მაგიერ მღვდელმა ჩაიგდო ხელში სულ მუქთად. მან მრევლი მოატყუა—„ოლონდ ეს საეკლესიო ადგილი იაფათ დამიტოვეთ „ტორგში“ და სამრევლო სკოლას გავაკეთებ იმ ადგილშიო. ხალხიც დაეთანხმა. მღვდელმა მართლა შენობა დადგა, რამოდენიმე თვეს ორიოდე ბავშს ასწავლა. მერე კი ამათაც სახლის კარი გამოუკეტა და მათ მაგიერ თავის ცოლშვილი დააბინა. ამგვარად ხალხი მოტყულებული დარჩა, შენობაც დაეკარგათ და საეკლესიო ადგილიდანაც თითქმის არაფერი სარგებლობა აქვთ. ამავე მამამ სხვა საგმირო საქმეებსაც მიჰყო ხელი: როდესაც ს. ამბრალოურის სულის მათეცარი მღვდელი გადაიცვალა, მან ითხოვა და იშოვა მისი ალაგი სუდში, თუმცა იმ მღვდელს ახალგაზდა მღვდელი შვილიც დარჩა, რომლის მრევლშიდაც არის სუდი, რის გამოც კანონით მას ეკუთნოდა და არა სხვას, გარეშეს. ეგვეე მამა არ თაკილობს უბრალო მწერლის როლი იკისროს „სუდებნი პრნსტაფთან“ იაფად და მით მოუსპოს საწყალ მწერალს ლუკმა პურის შეძენის საშუალება.

მეორე მღვდელს კი უკოლ-შვილო, მდიდარს დაუკავებია ადლი ხელში, სდვას საფართლო თავის საკუთრება ღუჭანში და ვაქრობს არხენათ; ბქვე ბძანდება ბინათაც, მღვდელი და მეფართლე? მნელი დასაჯერებელია! მესამე მღვდელს დაუკრავს წრიაპები სისუსტისა გამო და ისე სწირავს და ლოცავს. იქნებ გავკვირდეთ და იკითხოთ, თუ ეს ასეა, მერე მათი ბლაღჩინი სად არის, რათ ყურადღებას არ აქცევსო. საქმეც ისაა, რომ მათმა ბლაღოჩინმა ყოველივე ეს იცის, მაგრამ სდუმს, ხელსაც უმართავს, და რა ენაღვლება, მას ხომ სარგებლობა აქვს ამგვარი მღვდლებიდან. ანკი რა უნდა მოეკითხოხ იმისთანა ბლაღო-



ჩინს, რომელიც ყოველთვის ატყუებს თავის საკუთარ მრევლს და სხვაზე არა ნაკლებ საგმირო საქმეებს ჩადის. უკაცრავათ ახლა ეს კმარა, სხვა მერმე.

როგორ ფიქრობთ? ამგვარი მღვდლების ქადაგება გასტრის, იმოქმედებს? არა და არა.

დისასრულ უნდა მოგახსენოთ, რომ დროით საჭიროა თვითეულ საბლადოჩინოში დაარსდეს „გამასწორებელი კამისია,“ რომლის მოვალეობა იქნება თვალყურის ადევნოს მათი მოძმეების ყოფა-ცხოვრებას, მოქმედებას ეკლესიაში და გარეთ, საჭირო დროს ამხილონ დამნაშავენი კერძოთ, საბლადოჩინო კრებებზე და უკიდურეს შემთხვევაში საეპარქიო კრებებზე და... თუ კი არ გასწორდებიან, სჯობს ამგვარი წევრნი მოშორებულ იქნენ. მოურჩენელი ასო სწულისა სჯობს მოგვევითოს გადაიგდოს სანამ მთელი სხეული წაიბილწებოდეს!

ხოტეველი.

### რას გვწერენ?

სოფელი დედალაური.

წარსული წლის ეკენისთვეში ბედნიერება ეწვია ჩვენს სოფელს მით, რომ აქაური სამრევლო შკოლა გადაკეთებულ იქმნა ორ-კომპლექტიანად და, რაც უმთავრესია, მეორე მასწავლებლათ იქმნა დანიშნული სწორეთ რომ ღირსი და ბეჯითი ადამიანი—ხოხში მცხოვრები, ნატალია სოლომონის ასული, რომელმაც გამოცდილი მოპყრობით, ზდილობიანი საქციელით და განუზომელი ენერგიით მსწრაფლ მოხიბლა, როგორც, შაგირდები, აგრეთვე მშობლები.

პირველი მასწ. ილარიონ წიგწივადის და შკოლის გამგე, მღვდელი მ. ხაზარაძის სიხარულს საზღვარი არა ქონდა, რადგან მომზადებული ამხანაგი იქმნა დანიშნული მათ შკოლაში.

ჩვენდა სამწუხაროთ მთავრობის განკარგულებით ნატალია ბახტაძის ქალი გადაყვანილ იქმნა სოფ. მათხოჯში იმავე წლის ნოემბერში და მის ნაცვლად კი ჩვენთან გამოგზავნეს ხონელი ქალი, ნინა ჯალაღანი, რომელმაც არამც თუ ვერ მოხიბლა შაგირდები და მშობლები, თითქმის გავრძელებაც ვერ მოუხერხა იმ კვირულ დაწყებულ საქმეებს, რომელნიც ქალ. ბახტაძემ რაიწყო. ქალ. ნინა ჯალაღანი იმდენათ მოღმწოდებელი გამოდგა შკოლის საქმეებში, რომ ხშირად მოსწრესული ნიჭის პატრო-

ნი შაგირდები უსწორებენ გაკვეთილზე. ზნობრივ-დებობრივი დარიგება შაგირდებისადმი მისგან ხომ შეუძლებელი საქმეა. უფრო მეტ დროს თვის სიკობტავეს და სარკეში ცქერას ანდომებს შკოლაში, ვიდრე გაკვეთილებს.

რა დაინახა ეს, სოფელმა დეპუტაცია გაუგზავნა სოფელ მათხოჯში, ნატალია ბახტაძეს და სთხოვა ისე დაბრუნებულიყო დედალაურში, მაგრამ მან შემდეგი პასუხი მისცა: „მე იქ წავალ, სადაც მთავრობა გამგზავნის. მე არა მაქ უფლება ჩემით გადავინაცვლო ადგილი“ — საბჭოსაც მიმართა დეპუტაციამ, მაგრამ თხოვნა არ იქმნა დაკმაყოფილებული. შკოლა ილუპება. ამ სტრიქონების დამწერს ორი შვილი მყავდა იმ შკოლაში და ორივემ თავი დაანება, — „არ გვასწავლის ბაბიაო“ — მითხრეს.

პირველი მასწავლებლის ნაყოფიერ ნამუშაურსაც ჩირქი ეცხება. საჭიროა მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება.

ადგილობრივი მცხოვრები როსტო პაპავა.

### მოგონება

ოცდა ექვს ამ თვეს სრულდება ნახევარი წელიწადი, რაც ამ წუთისთვის გამოცხადდა განსვენებული ნიკო თეობარისძე მკურნალი. იმან თავისი ხანმოკლე სიცოცხლე თითქმის ქუთაისში გაატარა. პირველიდგანვე დაინიშნა აქ სამეურნაო შკოლაში მასწავლებლათ, მაგრამ ის არ სჯერდებოდა მარტო მასწავლებლობას. მუშაობდა ხელით, ფეხით, ტყინით, კალმით და ყოველი მისი ღონით. თუთხმეტი წელიწადი იქ დაყო და დატოვა ყოველი ხის ძირი თვისი ოფლით მორწყული. რამდენჯერ მინახავს ღრმად დაფიქრებული და თვის გამზთარ ხელებზე შებლდაყრდნობილი და ამ საგანზე შეწუხებული, ვაი თუ მოტყუებული მოწმობებით ბავშებს სტიპენდიები კარგათ ვერ გაუნაწილე, ღარიბებს ნაკლები მივეცი და შეძლებულებს მეტო. ვინ მოსთვლის ყოველ საგანზე მის მოღვაწეობას! დიდათ ზრუნავდა განსვენებული აბრეშუმისა და ფრინველების მოშენების შესახებ. წიგნებს ბეჭდავდა და სიტყვიერი დარიგებოდაც, სადაც კი მიაწუვენდა, ცდილობდა ხალხში მეურნეობის აყვავებას. რამდენჯერ გაუტანებია ჩემთვის რამოდენიმე ცალი წიგნი სოფელში დასარიგებლათ. და არც უნაყოფოთ ჩაუღლია მის შრომას. ძალიან გახშირებულია ეხლა აბრეშუმის მოწვევაც და კარგი ჯიშის ქათმებიც დიდათ გამ-



რავლებულია სოფლათაც და ქალაქათაც. აგრეთვე მართადა გამოფენებს ყოველივე ნაწარმოებისას, რითაც დიდად წახალისებული მოქალაქენი აგზავნიდნენ სხვა და სხვა გუბერნიებიდან ექსპონატებს, და აგრეთვე მახლობელი მაზრებიდან, რაც დიდი საგრძნობელი და სასარგებლო იყო ხალხისათვის. ამ უკანასკნელ წელში, თუმცა სახელმწიფო სამსახურში იყო, მაგრამ იქაც თავის მოვალეობას სინდისიანად და გადაჭარბებული შრომით ასრულებდა და არც საქვეყნო საქმე ავიწყებოდა; ყოველ კრებებზე, მძიმე ავთაც ყოფილიყო, მაინც ესწრებოდა და უკანასკნელ წუთამდის კალამი ხელიდან არ გაუგდია. არას დროს მას თავის თავი არ ახსოვდა და ნამეტნათაც მიიჩნათ მას თავის მოვლასა და მოსვენებაზე ფიქრი და ან სადმე სასიმთვლო აღგილზე წასვლა, და კიდევაც შეიქნა მსხვერპლი თვისი თავდავიწყებული შრომისა. არ შემოძლია ჩემი გაკვირვება არ გამოეთქვა ჩვენ ქუთათურ საპატიო მწერლებზე, რომ ამისთანა დაულაღავ მუშაკისა და ყოველ საგანზე მოღვაწის დაკარგვა საგრძნობელად არ ჩათვალეს და ერთმა ქართველმა კალამი არ აიღო, რომ მკირეოდენი მწუხარება მაინც გამოეთქვა ასეთი ამხანაგის გამოკლებისათვის. დალოცვილებმა შორიდგან თუ რამე გაიგონეს, იყოს ღირს—შესანიშნავი თუ არა, დაუსრულებელ წერას მართვენ, და ნუ თუ გვერდში მდგარი მოღვაწე კი დაავიწყდათ. ნათქვამია ჯერ „შობელი და მერმე მებზობელიო“ მე ვისგანაც გასაკვირია იმათგან მიკვირს, თორემ მეტიჩარა, მჯღაბნელებმა უკანასკნელს ქათმის თავი გამოაბნეს და მათი მქვერ-მეტყველური და მასხრული ლექსი წააწერეს. მათზე რა ითქმის ამის მეტი „რაც არა იცოდენ, რასა იქმოდენ“ თორემ სადაც დაფასება შეეძლოთ მისი შრომის, ესე იგი ცხოველთა მომშენებელ საზოგადოებისგან კიდევაც მიიღო ჯილდო—ოქროს მედალი, რომელიც მარტო სამი გამოიცა მთელ რუსეთში. ერთი გასაკვირვალის შევიტყვე ნამდვილი წყაროდგან: კოლხიდის რედაქციაში ორი წერილი მისულა ერთი ზუგდიდიდან და მეორეც ბაქოდგან განსვენებულ ნიკოს შესახებ, მაგრამ რედაქტორს არ დაუბეჭდავს და რომ კითხეს მიზეზი, ბევრი იყო მათე დაწერილიო, უთქვამს ყველა დღიურ გაზეთს ვკითხულობ და უმეტესი ნაწილი ერთმანეთის ლანძღვა ვინებით არის გადაჭრელებული. მართალია,

პოეტის ნათქვამია. „თუ რომ ცული არ ვაძაგეთ. აბა კარგი რითა ვაქოთო.“ მაგრამ ნუ თუ გინებასა და მასხრობას უფრო უნდა ეთმობოდნენ გაზეთის ფურცლები?! ასე გავს სიცოცხლეშივე უნდა იქონიოს კაცმა კავშირი, იმისთვის რომ მე როცა მოვკვდე, ჩემზე რაც მოგიტანონ, თუ ძმა ხარ უკლებლივ დასწერეო. მაგრამ ეს რომ განსვენებულს სტოდნოდა პირიქით სთხოვდა არაფერი დასწეროთო.

გულნატყენი

### ნუ თუ მართალია?

ამ წლის „კოლხიდის“ №26-ში ბ-ნი კ. ალა-ვიძე, აქვებს რა ეხლად შემოდებულ საკვებ ბალახს „პენცილარის“, ამბობს: წარსულ წელში ორ ქცევაზედ დაეთესე და 65 ფუთი მარცვალი მომივიდა, რომელთაგან 55 ფუთი გასაფრცელებლათ გავეცი, 10 ფუთი ვმინჯე, თუ რა გავლენას იქონიებს წვრილფეხზე და საქონელზე, ხუთ ფუთს კი ვერ ველევი, მინდა დაეთესოვო. ამ ანგარიშით 65 ფუთი მარცვალი კი არა, 70 ფუთი მოსვლია. ბ-ნი ალავიძე მსურველთ ურჩევს მიმართონ კიწმარიშვილს ქუთაისში, რომელთანაც 1. გირ. მარცვალი მანეთად იყიდება. ქცევაზე 15 გირ. მარცვალი ყოფილა საქირო. როგორც სჩანს, ამ ბალახის თესლის შეძენა შესაძლებელი ყოფილა მარტო შეძლებულებისთვის, რომლებიც ან არ დაეძებენ ამ საკვების დათესვას და ან, თუ ეძიეს, ისევ სააღებ-მიმცემოთ და ხალხის საყუღეფად, ან კი შეიძლება უკეთესი სყარო შემოსავლისა გაიჩინოს კაცმა, თუ კი ერთი ქცევა მიწა, გარდა საკვები ბალახისა, 1400 მ. მარტო ბალახის მარცვლით შემოუტანს მას? მიკვირს, რათ უნდა იყოს ასე უხვი მოსავლიანი საკვების მარცვალი ამდენათ ხელმოუწოდებელი. ღარიბი ხალხისთვის. სასურველია უფრო ვრცლად იქნეს წერილი ამ ბალახის თვისება, მოსავლის რაოდენობა და, თუ მართლა ასე სასარგებლოა, მისი მარცვალი ხელმისაწვდომ ფასში გავრცელდეს ღარიბ სოფლის ხალხში.

გენალი კუმბურიძე.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მავალიძე**.  
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა**.